ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 40

“20” თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 თებერვლის №24.168.195 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 360 (სამი ათას სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობის დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე